5:0

ლენინგრადი (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.).

19 ოქტომბერს ლენინგრადის ს.მ. კიროვის სახელობის სტადიონზე შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში "ა" კლასის გუნდებს შორის, რომლებიც იბრძვიან პირველი 12 ადგილისათვის. ერთმანეთს შეხვდნენ გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი თბილისის "დინამო" და ამ ჯგუფში ბოლო ადგილზე მყოფი ადგილობრივი "ზენიტი".

რა თქმა უნდა, მატჩის შედეგს გაცილებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისელთათვის, რომლებიც თითქმის 3 თვეა დაუმარცხებლად იბრძვიან ჩემპიონატში და საპრიზო ადგილის მოპოვების დიდი შანსი აქვთ, მაგრამ დინამოელებმა ამჯერად უჩვეულოდ სუსტად, არაორგანიზებულად და ინერტულად ჩაატარეს მატჩი. ეს იყო აშკარა ჩავარდნა, რომელიც შეჯიბრების ამ ეტაპზე არაფრით არ ეპატიება თბილისელებს.

საგანგაშო სიგნალი სტუმრებმა მიიღეს დასაწყისშივე, როცა ბურჩალკინმა მე-4 წუთზე გახსნა ანგარიში _ 1:0. ამ გოლს სულ მალე მოჰყვა მეორეც და "ზენიტმა" შეძლო სრული უპირატესობისათვის მიეღწია მთელს მინდორზე. ხშირად უშვებდნენ შეცდომებს "დინამოს" მეკარე კოტრიკაძე, მცველები და ნახევარმცველები, ხოლო თავდამსხმელები სისტემატურად აგებდნენ ბურთს მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში.

"ზენიტმა" საუკეთესო თამაში აჩვენა და დაამარცხა თბილისის "დინამო" დიდი ანგარიშით _ 5:0.

"ლელო", 20 ოქტომბერი, 1962 წ.